

ევროპულ-ქართული პარალელური კორპუსები ქართული ლექსიკოგრაფიისა და მთარგმნელობითი საქმიანობისათვის

სტატიაში განხილულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექსიკოგრაფიულ ცენტრში შემუშავებული პარალელური კორპუსის პლატფორმა და მისი გამოყენების პერსპექტივები ევროპულ-ქართული პარალელური კორპუსების შესაქმნელად, ასევე გაანალიზებულია პარალელური კორპუსების მნიშვნელობა როგორც ევროპულ-ქართული ორენოვანი ზოგადი და სპეციალიზებული ლექსიკოგრაფიისათვის, ისე ევროპული ენებიდან მთარგმნელობითი საქმიანობისათვის.

წინამდებარე სტატიის მიზანია თსუ ლექსიკოგრაფიულ ცენტრში შექმნილი ინგლისურ-ქართული პარალელური კორპუსის პლატფორმის აღწერა და მისი გამოყენების პერსპექტივების წარმოჩენა სხვა ევროპულ-ქართული პარალელური კორპუსების შესაქმნელად. აღნიშნული კორპუსები უნდა იქცეს მომავალი ახალი ევროპულ-ქართული ლექსიკონების შექმნის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროდ, აგრეთვე ისინი წარმატებით შეიძლება იქნეს გამოყენებული ევროპული ენებიდან მთარგმნელობით საქმიანობაში. ინგლისურ-ქართული პარალელური კორპუსის პლატფორმა პირველად წარმოვადგინეთ საერთაშორისო კონფერენციაზე „ქართული ენა და თანამედროვე ტექნოლოგიები - 2013“ [მარგალიტაძე ... : 85].

არიანე ჭანტურიას თარგმანები.

პარალელური კორპუსების შექმნის პროცესში, განსხვავებით ერთენოვანი კორპუსებისაგან, თარგმანის ხარისხის პრობლემა იჩენს თავს. ყველასათვის კარგადაა ცნობილი, რომ საბჭოთა პერიოდში მხატვრული ლიტერატურა იშვიათად ითარგმნებოდა დედნიდან, ქართული თარგმანები ევროპული ლიტერატურის რუსული თარგმანებიდან სრულდებოდა. ამასთანავე, ქართველი მთარგმნელების უმრავლესობა დედნის ტექსტს, ხშირად, საკმაოდ თავისუფლად უდგებოდა და ასევე თარგმნიდა. თარგმანის ხარისხი და ადეკვატურობა არანაკლები პრობლემაა დღევანდელ საქართველოშიც. ამ ვითარებაში პარალელურ კორპუსში ვერ შევა ნებისმიერი თარგმნილი ტექსტი, პარალელური კორპუსის შექმნას მაშინ აქვს აზრი და ღირებულება, თუ მასში შეტანილი ტექსტების თარგმანი პროფესიონალურ დონეზეა შესრულებული. ამ გარემოებამ განაპირობა ლექსიკოგრაფიული ცენტრის გადაწყვეტილება სამეცნიერო ტექსტების ინგლისურ-ქართული პარალელური კორპუსი მნიშვნელოვანწილად დაეფუძნებინა ბატონი არიანე ჭანტურიას თარგმანებზე.

ქართული მთარგმნელობითი საქმიანობის ფონზე სრულიად გამოირჩევა ცნობილი ქართველი მთარგმნელის, რედაქტორისა და ლექსიკოგრაფის არიანე ჭანტურიას მთარგმნელობითი საქმიანობა, რომელიც ათწლეულებს ითვლის. მისი თარგმანები მოიცავს მეცნიერების პრაქტიკულად ყველა დარგს და ქართული ენიდან ინგლისურ ენაზე თარგმნილი ლიტერატურის ყველაზე სარწმუნო პარალელურ კორპუსს ქმნის. შექმნილია ა. ჭანტურიას თარგმნილი ლიტერატურის სრული კატალოგი, რომელიც მოიცავს როგორც კონფერენციების თეზისებს, ისე სამეცნიერო სტატიებსა და წიგნებს. მაგ.: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის

მომბე, ინგლისურ-ქართული თეზისები [მომბე...]; დმანისისა და ვანის არქეოლოგიური გათხრები, სტატიები და თეზისები [დმანისი ...]; სამეცნიერო გამოცემა პირველ ქართულ ნაბეჭდ წიგნებზე [ჩიქობავა ...]; სამეცნიერო ორენოვანი ჟურნალი „ქართველოლოგი“ [ქართველოლოგი ...]; ბ. ჯორბენაძის წიგნი „ქართველური ენები და დიალექტები“ [ჯორბენაძე, 1991]; ე. ხინთიბიძის საერთო რედაქტორობით გამოცემული წიგნი „ქართული ლიტერატურა ევროპულ მეცნიერებაში“ [ხინთიბიძე, 2003]; ე. შევარდნაძის წიგნი „დიდი აბრეშუმის გზა“ [Shevardnadze, 1999]; გ. კალანდიას „დადიანების სასახლეების საგანძური“ [კალანდია, 2003]; ნ. ლომოურის „საქართველოს ისტორია“ [ლომოური, 1993] და მრავალი სხვა. არიანე ჭანტურიას თარგმანების კატალოგი ასამდე დასახელების ერთეულისაგან შედგება.

დღეისათვის სამეცნიერო ტექსტების ინგლისურ-ქართულ პარალელურ კორპუსში შეტანილია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მომბის“ ინგლისურ-ქართული თეზისები, ჟურნალი „ქართველოლოგის“ სტატიები და ე. ხინთიბიძის საერთო რედაქტორობით გამოცემული წიგნი „ქართული ლიტერატურა ევროპულ მეცნიერებაში“, სულ ერთ მილიონამდე სიტყვაფორმა. ინგლისურ-ქართული პარალელური კორპუსის არიანე ჭანტურიას ქვეკორპუსში სავარაუდოდ ხუთ მილიონამდე სიტყვაფორმა იქნება.

კორპუსის ბაზების მოწყობის პრინციპები.

კორპუსის მრავა დაწერილია PHP პროგრამულ ენაზე, ხოლო კორპუსის ტექსტური და სისტემური ბაზები განთავსებულია MySQL-ის მონაცემთა ბაზაში.

ვებ-აპლიკაცია მოიცავს მომხმარებლისა და კორპუსის მართვის ფუნქციებსა და ინტერფეისებს, რაც კორპუსის მოხმარების, მომსახურებისა და ადმინისტრირების ინტეგრირებულ და დინამიკურ რესურსს ქმნის.

კორპუსის მართვის პანელი მოიცავს შემდეგ ძირითად ფუნქციებს:

- კორპუსების ჯგუფების შექმნა და რედაქტირება;
- კრებულების შექმნა და რედაქტირება;
- ტექსტური წყვილების დამატება და რედაქტირება;
- ტექსტის ავტომატურ დანაწევრება, გათანაბრება და ტექსტური წყვილების გენერირება შემდგომი რედაქტირების შესაძლებლობით.

კორპუსის ყველაზე მსხვილი ერთეულია კორპუსის ჯგუფი. მაგ. კორპუსში ცალკე ჯგუფს ქმნის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მომბე“, ჟურნალი „ქართველოლოგი“, წიგნი „ქართული ლიტერატურა ევროპულ მეცნიერებაში“ და სხვა. არიანე ჭანტურიას ქვეკორპუსში 30-მდე ჯგუფის შექმნაა დაგეგმილი. კორპუსის თითოეული ჯგუფი კრებულებად იშლება. „მომბის“ კრებულებია ტომებისა და მეცნიერების სხვადასხვა დარგების მიხედვით დალაგებული თეზისები: მაგ.: ტომი 53, კიბერნეტიკა; ტომი 53, ექსპერიმენტული მედიცინა; ტომი 80, ბიოფიზიკა და სხვა (იხ. სურათი 1). ჟურნალი „ქართველოლოგის“ კრებულები მოიცავს ჟურნალში გამოქვეყნებულ ცალკეულ სტატიებს, წიგნების კრებულები კი აღნიშნული წიგნების ცალკეული თავებია.

ტექსტური წყვილები.

ჯგუფებისა და კრებულების შემდეგ კორპუსის მნიშვნელოვანი ერთეულია ტექსტური წყვილები. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პარალელური კორპუსის შექმნისას მნიშვნელოვანია თარგმანის ხარისხი. პარალელურ კორპუსში










სურათი 1

პარაშინაშვილი

Marashili

გვერდი 1

პარაშინაშვილი

პარაშინაშვილი

პარაშინაშვილი

პარაშინაშვილი

პარაშინაშვილი

პარაშინაშვილი

პარაშინაშვილი

პარაშინაშვილი

ბიბლიოთეკის წევრები

პარაშინაშვილი

KA-1

პარაშინაშვილი

EN-1

Aleksandre Chishvil's in Emigration.

KA-2

პარაშინაშვილი

EN-2

In the period of Aleksandre Chishvil's life and activity in Georgia, his novel "Lelo" was the most significant specimen of his literary legacy. In it the process of establishment of collective farming in the countryside was reflected with tendentiousness widely characteristic of Georgian literature of the Soviet period.

KA-3

პარაშინაშვილი

EN-3

However, "Lelo" was not an exception, and the main purpose of the majority of Chishvil's literary works lay in the laudation of the reality of the period.

KA-4

პარაშინაშვილი

EN-4

The government of the time appreciated Chishvil's loyal service, showering him with honours.

KA-5

პარაშინაშვილი

EN-5

Bearing in mind, it is hard to explain what made him leave his family and become an emigrant.

KA-6

პარაშინაშვილი

EN-6

As is known, in 1958 the writer crossed into West Germany and asked for political asylum there.

კერძოდ ინგლისურ-უნგრული კორპუსისთვის შექმნილ პროგრამას HunAlign freeware tool¹.

¹ <http://mokk.bme.hu/resources/hunalign>

ავტომატურად დანაწევრებული წინადადებები შემდგომ ეტაპზე რედაქტირებას საჭიროებს. რედაქტირება მხოლოდ წინადადებების გათანაბრებას ითვალისწინებს. ხშირია შემთხვევები, როდესაც ერთი ინგლისური წინადადება ქართულად ორი წინადადებითაა თარგმნილი, ან თარგმანში რომელიმე ფრაგმენტი გამოტოვებულია და სხვა. იმისათვის რომ კორპუსში ძიებისას პროგრამამ კორპუსის მომხმარებელს ძიების შედეგებში გამოუტანოს ინგლისურ-ქართული წინადადებების იდენტური წყვილები, საჭიროა მათი ხელით გათანაბრება. მეორე სურათზე კარგად ჩანს ის ღილაკები ყოველი ბლოკის ზედა მარჯვენა კუთხეში, რომელთა მეშვეობითაც კორპუსის რედაქტორი ტექსტებს ათანაბრებს. მართვის პანელში გათვალისწინებულია ისეთი დამხმარე ბაზების დამატება/რედაქტირების შესაძლებლობა, როგორიცაა: ნაწარმოების ტიპი, ჟანრი, ავტორი, მთარგმნელი და ა.შ. ასევე ხელმისაწვდომია ავტომატური გენერატორები და სხვადასხვა ინსტრუმენტები, რაც ამცირებს მასალის დამატებისა და დამუშავების სისწრაფესა და შემდგომ რედაქტირებას.

მომხმარებლის ინტერფეისი. კორპუსის საძიებო სისტემა.

პარალელურ კორპუსს აქვს მომხმარებლის ინტერფეისი, რომლის დანიშნულებაც კორპუსის მონაცემთა ბაზაში სასურველი ქართული ან ინგლისური სიტყვის ან შესიტყვების ძიება და შესაბამისი შედეგების შემცველი პარალელური ტექსტური წყვილების გამოტანა. ძიება ხორციელდება ორმხრივად - როგორც ნაწარმოების ორიგინალ, ასევე ნათარგმნ ტექსტში. მომავალში შესაძლებელი იქნება ძიება როგორც მთლიან მასალაში, ასევე სხვადასხვა პარამეტრების მიხედვით, მათ შორის ნაწარმოების ჯგუფების, კრებულების, ტიპების, ჟანრების, ავტორების, წლების და ა.შ. გაფილტვრით. ძიების შედეგებში ასევე ხელმისაწვდომი იქნება ინფორმაცია ნაწარმოების შესახებ, მათ შორის ავტორის, თარგმანის ავტორის, გამოცემის წელის შესახებ და სხვა.

კორპუსის განვითარების პერსპექტივები.

ინგლისურ-ქართული პარალელური კორპუსი ორი მიმართულებით განვითარდება მომავალში: კორპუსის სამეცნიერო ტექსტების ნაწილი შეივსება არიანე ჭანტურიას ნათარგმნი ტექსტებით, მეორე მხრივ კი კორპუსს ცალკე ქვეკორპუსად დაემატება თარგმნილი მხატვრული ლიტერატურა. პირველ ეტაპზე მხატვრული ლიტერატურის ქვეკორპუსისათვის შერჩეულია ცნობილი ბრიტანელი ქართველოლოგის დონალდ რეიფილდის მიერ ინგლისურ ენაზე თარგმნილი აკაკი წერეთლის „ჩემი თავგადასავალი“ [წერეთელი, 2012] და ოთარ ჭილაძის რომანები [Chiladze, 2012; Chiladze, 2014]. მხატვრული ლიტერატურის ქვეკორპუსისათვის ტექსტების შერჩევა მომავალში დიდი სიფრთხილით გაგრძელდება და თარგმნილი ლიტერატურის ადეკვატურობის კვლევას დაეფუძნება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არიანე ჭანტურიას ქვეკორპუსში 30 ჯგუფი შევა, რომელიც მეცნიერების პრაქტიკულად ყველა დარგს მოიცავს. არიანე ჭანტურიას თარგმანების ქვეკორპუსზე მუშაობის დასრულების შემდეგ კორპუსი გაიზრდება სამეცნიერო ტექსტების სხვა მასალითაც, თუმცა მასალის შერჩევისას დიდი ყურადღება მიექცევა თარგმანის ხარისხს.

წინასწარი გათვლებით, ინგლისურ-ქართული პარალელური კორპუსი მომავალში 10 მლნ სიტყვაფორმას მიაღწევს.

მიმდინარეობს მუშაობა კორპუსის მორფოლოგიური ანოტაციის მეთოდოლოგიაზე.

კორპუსის გამოყენების სფეროები.

ევროპულ-ქართული პარალელური კორპუსები.

ინგლისურ-ქართული პარალელური კორპუსის პლატფორმა შეიძლება გამოყენებულ იქნეს ქართული ენის პარალელური კორპუსების შესაქმნელად სხვა ევროპულ ენებთან მიმართებით. სასურველია შეიქმნას გერმანულ-ქართული, ფრანგულ-ქართული, იტალიურ-ქართული, რუსულ-ქართული და სხვა პარალელური კორპუსები, რომლებიც გამოიყენება როგორც ლექსიკოგრაფიაში, ისე მთარგმნელობით საქმიანობაში. პარალელური კორპუსის პლატფორმა შექმნილია ისე, რომ მასში შეიძლება შევიდეს როგორც სამეცნიერო, ისე მხატვრული ლიტერატურა.

ინგლისურ-ქართული და ქართულ-ინგლისური დარგობრივი ლექსიკოგრაფია.

ინგლისურ-ქართული სამეცნიერო ტექსტების კორპუსის გამოყენების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფერო იქნება დარგობრივი ლექსიკოგრაფია. ამჟამად კორპუსში შეტანილია ტექსტები, რომლებიც მეცნიერების თითქმის ყველა დარგს მოიცავს და ამ ტექსტებისა და დარგების რაოდენობა ყოველდღიურად იზრდება. ეს დარგებია: მათემატიკა, მექანიკა, გეოფიზიკა, ქიმია, ჰიდროლოგია, გეოლოგია, პალეონტოლოგია, სამშენებლო მექანიკა, მანქანათმშენებლობა, ჰიდროტექნიკა, ელექტროტექნიკა, ბოტანიკა, გენეტიკა, ფიზიოლოგია, ბიოფიზიკა, ბიოქიმია, ენტომოლოგია, ექსპერიმენტული მორფოლოგია, ექსპერიმენტური მედიცინა, არქეოლოგია, ეთნოგრაფია, ქართველოლოგია და სხვა. მუშავდება პარალელურ კორპუსში დარგობრივი ტერმინოლოგიის მონიშვნის მეთოდოლოგია, რის საფუძველზეც შეიქმნება პარალელური კორპუსის პროგრამის შესაბამისი მოდული. ეს საშუალებას მოგვცემს მომავალში კორპუსიდან ერთიანად ამოვიღოთ ამა თუ იმ დარგის ტერმინოლოგია ინგლისური ეკვივალენტებით, აგრეთვე ტერმინების ძირითადი ლექსიკური და სინტაქსური შესიტყვებები. ამ დარგობრივი ტერმინოლოგიით შეივსება როგორც დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონი, ისე აღნიშნული მასალა გახდება საფუძველი ინგლისურ-ქართული დარგობრივი ლექსიკონების შესაქმნელად ან არსებული ლექსიკონების შესავსებად.

ევროპულ-ქართული დარგობრივი ლექსიკოგრაფია.

ინგლისურ-ქართული სამეცნიერო ტექსტების პარალელური კორპუსის პლატფორმითა და მეთოდოლოგიით შექმნილი პარალელური კორპუსები სხვა ევროპულ ენებთან მიმართებით, შეიძლება გამოყენებულ იქნეს ერთ-ერთ წყაროდ ევროპულ-ქართული დარგობრივი ლექსიკონების შესაქმნელად.

დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინ-ლექსიკონი.

დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონის მნიშვნელოვანი ნაწილი შეიქმნა ინგლისური ენის განმარტებითი ლექსიკონების საფუძველზე. აღნიშნული პროექტისათვის არ შექმნილა ინგლისურ-ქართული ტექსტური კორპუსი, თუმცა გასული საუკუნის 70-იან წლებში იყო ამგვარი კორპუსის შექმნის მცდელობა. ინგლისურ-ქართული ლექსიკონის სარედაქციო კოლეგიას ყოველთვის სურდა ლექსიკონში შეეტანა საილუსტრაციო ფრაზები და წინადადებები ქართული ლიტერატურიდან და მისი ინგლისური თარგმანები, ასევე ინგლისურენოვანი ლიტერატურის ნიმუშები ქართული თარგმანითურთ. ინგლისურ-ქართული პარალელური კორპუსი საშუალებას მოგვცემს ლექსიკონის მეორე

რედაქციისათვის სიტყვა-სტატიები სწორედ ასეთი ილუსტრაციებით შევავსოთ. შესაძლოა, რიგ შემთხვევაში, პარალელური კორპუსის მასალამ ინგლისური სიტყვის ახლებური ინტერპრეტაციის საჭიროება შექმნას.

ქართულ-ინგლისური სასწავლო ლექსიკონი.

ინგლისურ-ქართულ პარალელურ კორპუსში, როგორც ზემოთ აღინიშნა, ძიება ხორციელდება როგორც ორიგინალის ენაზე, ისე თარგმანის ენაზე, ანუ ძიება ხორციელდება როგორც ინგლისური სიტყვის ან შესიტყვების, ისე ქართული სიტყვისა და შესიტყვების მიხედვით. ამდენად, პარალელური კორპუსი იქნება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო ქართულ-ინგლისურ სასწავლო ლექსიკონზე სამუშაოდ. პარალელური კორპუსიდან ამოკრეფილ საილუსტრაციო ფრაზებსა და წინადადებებს და მათ ინგლისურ თარგმანებს დაეფუძნება ქართულ-ინგლისური სასწავლო ლექსიკონის სიტყვა-სტატიებზე მუშაობის ყველა ეტაპი.

ევროპულ-ქართული ორენოვანი ლექსიკონები.

ინგლისურ-ქართული პარალელური კორპუსის პლატფორმითა და მეთოდოლოგიით შექმნილი ევროპულ-ქართული პარალელური კორპუსები იქნება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო ევროპულ-ქართული თუ ქართულ-ევროპული ტიპის ლექსიკონების შექმნისათვის. კორპუსებიდან ამოკრეფილი საილუსტრაციო ფრაზები და წინადადებები მათი თარგმანებით ევროპულ ენებზე იქნება მნიშვნელოვანი მასალა აღნიშნული ლექსიკონების სიტყვა-სტატიებზე სამუშაოდ, სიტყვების პოლისემიური მნიშვნელობების, შესიტყვებების, ფრაზეოლოგიური ერთეულების აღწერისათვის, სიტყვების მნიშვნელობებისათვის საილუსტრაციო მასალის დართვისათვის და სხვა.

თარგმანის თეორია და პრაქტიკა.

ინგლისურ-ქართული პარალელური კორპუსი შეიძლება გამოყენებულ იქნეს პრაქტიკოსი მთარგმნელის მიერ ქართულიდან ინგლისურად, ან პირუკუ თარგმანის დროს. არიანე ჭანტურიას ქართულიდან ინგლისურ ენაზე შესრულებული თარგმანები გამოირჩევა აკადემიურობით, რაც ასე საჭიროა სამეცნიერო ტექსტების თარგმნისას. კორპუსი, რომელშიც შევა ა. ჭანტურიას პრაქტიკულად ყველა თარგმანი, მომხმარებელს საშუალებას მისცემს ქართული სიტყვებისა თუ ფრაზების ინგლისურად სათარგმნელად კორპუსში მოიძიოს სათანადო ინგლისური შესატყვისი. პარალელური კორპუსი ასევე შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს თარგმანის სწავლების პროცესშიც. მაგალითად, სამეცნიერო სტატიის თეზისის ინგლისურ ენაზე სათარგმნელად პედაგოგმა შეიძლება გამოიყენოს კორპუსში შეტანილი დიდძალი მასალა რეზიუმეები სახით და სტუდენტს, კონკრეტული თარგმანების მაგალითზე, აჩვენოს როგორ უნდა ითარგმნოს ისეთი ფრაზა, როგორიცაა: „ნაშრომში განხილულია ...“ (იხ. სურათი 3). დღეისათვის კორპუსში არსებული მასალა გვთავაზობს აღნიშნული ფრაზის შემდეგ თარგმანებს: ‘the present paper discusses ...; the paper analyses ...; in this contribution the author discusses ...’ და სხვა.

კორპუსში დიდი რაოდენობით გვხვდება სხვადასხვა დარგის ტერმინოლოგია, რაც ასე მნიშვნელოვანია თარგმნისას. ქართველოლოგიურ ტექსტებზე მუშაობისას მთარგმნელი კორპუსში აღმოაჩენს დიდი რაოდენობით საკუთარ სახელებს, ნაწარმოებების სახელებს, ადგილის სახელებს, რისი თარგმანიც ყოველთვის დიდ სირთულეს უქმნის მთარგმნელს. მაგ. „ვისრამიანის“ ინგლისური ვერსიის ძიებისას კორპუსში გამოდის შემდეგი ვარიანტები: ‘Vis o Ramin’, ‘The Visramiani’. პირველი თარგმანი გამოყენებულია მაშინ, როდესაც საუბარია სპარსულ პოემაზე,

მეორე კი - სპარსული პოემის ქართულ თარგმანზე; ეფთვიმე ათონელი - Euthymius the Athonite, გიორგი მთაწმინდელი - Giorgi the Hagiorite, სერაპიონ ზარზმელი - Serapion of Zarzma და სხვა.

პარალელური კორპუსი	
დედალური ძეგლი სტატიისტიკა პროექტის შესახებ კონტაქტი	
ძიება	
1. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე ტომი 53, მანქანათმშენებლობის აღნიშნული სახის არამდგრადი რეჟიმების კვლევისადმი მიძღვნილი მრავალი ნაშრომი. A series of papers are devoted to the study of the above-mentioned instability.	
2. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე ტომი 53, სამშენებლო მექანიკა ნაშრომში ბაგროვანი ბადეების გასაანგარიშებლად პირველად გამოყენებული მერული ვარიაციულ-დისკრეტული მეთოდი. Discussed in the paper is the mixed variational-discrete (variational-rod) method which has for the first time been used for the calculation of cable nets.	
3. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე ტომი 54, მექანიკა ნაშრომში განვიხილავთ კაშხლებისა და საყრდენი კედლების გაანგარიშების მეთოდი მყოფე პლასტიკური გარსების თეორიის საფუძველზე. In this contribution the author develops a method of designing of dams and retaining walls following his previous work on the theory of thin brittle-plastic shells.	
4. ქართული ფილოსოფიის კვლევისათვის ტომი 16, საზოგადოების ფილოსოფიის განყოფილება ნაშრომში განვიხილავთ გ. გალაკტიონის ნაშრომებს, რომლებიც სიახლოვეს აშუღაყის პოპულარული ამერიკელი რომანტიკოსი მწერლის პენის უფასო ლინგვისტური ლიტერატურულ-ლიტერატურათმცოდნეობით ნაშრომებში ამ ტერმინს სასულიერო აზროვნების გარკვეული გამოვლინების საერო შინაარსით გადააზრებამ მისათითებლად იყენებენ. In the sphere of philosophy and in literary criticism this term is used to refer to conceptualization of a definite manifestation of ecclesiastical thought into secular content.	
5. ქართული ფილოსოფიის კვლევისათვის ტომი 16, ლიტერატურული პარალელური კორპუსი ნაშრომში განვიხილავთ გ. გალაკტიონის ნაშრომებს, რომლებიც სიახლოვეს აშუღაყის პოპულარული ამერიკელი რომანტიკოსი მწერლის პენის უფასო ლინგვისტური The present paper discusses those works of Galaktion that evince affinity with the poetry of the popular American romantic writer Henry Wadsworth Longfellow (1807-1882), and the character Galaktion's relationship to the well-known works of the cited author.	
6. ქართული ფილოსოფიის კვლევისათვის ტომი 16, ლიტერატურული პარალელური კორპუსი ნაშრომში განვიხილავთ გ. გალაკტიონის ნაშრომებს, რომლებიც სიახლოვეს აშუღაყის პოპულარული ამერიკელი რომანტიკოსი მწერლის პენის უფასო ლინგვისტური The paper analyses the specimens of Galaktion Tabidze's early works that evince closeness to the poetry of the popular American romantic poet Henry Wadsworth Longfellow.	

სურათი 3

პარალელური კორპუსის პლატფორმა შეიძლება გამოყენებულ იქნეს ამა თუ იმ მთარგმნელის შემოქმედების გასაანალიზებლად. ამისათვის პარალელური კორპუსის პლატფორმის გამოყენებით უნდა შეიქმნას ორიგინალი და ნათარგმნი ტექსტების კორპუსი და შემდეგ მასში, ჩვენ მიერ დამუშავებული მეთოდოლოგიით, მოინიშნოს შესრულებული თარგმანის ხარისხი სხვადასხვა პარამეტრის მიხედვით, მაგ.: თავისუფალი თარგმანი, მთარგმნელის შეცდომები, ტექსტის არასწორი ინტერპრეტაციის შემთხვევები და სხვა. კორპუსიდან ერთიანად ამოკრეფილი მასალა საშუალებას მისცემს მკვლევარს სრულყოფილად გააანალიზოს ცალკეული თარგმანის ხარისხი ან ამა თუ იმ მთარგმნელის შემოქმედება.

თარგმანის თეორიასა და პრაქტიკაში ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნეს ქართული ენის სხვა პარალელური კორპუსები ევროპულ ენებთან მიმართებით.

ლიტერატურა

დმანისი

1998 – 2006 *დმანისი I - V. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. თბილისი.*

კალანდია გ.

2003 *დადიანების სასახლეების საგანძური. თბილისი.*

ლომოური ნ.

1993 *საქართველოს ისტორია (ინგლისურად). თბილისი.*

მარგალიტაძე თ., ქერეჭაშვილი გ.

2013 სამეცნიერო ტექსტების ინგლისურ-ქართული პარალელური კორპუსი. „*ქართული ენა და თანამედროვე ტექნოლოგიები - 2013*“, საერთაშორისო კონფერენციის მასალები. თბილისი.

მოამბე ...

1969 – 1985 *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე*. თბილისი.

სიჭინავა დ.

2012 პარალელური კორპუსების შედგენა აღმოსავლეთევროპული ენებისათვის: მასალის მონიშვნის პრობლემა თავისუფალი თარგმანის შემთხვევაში. „*II საერთაშორისო სიმპოზიუმი ლექსიკოგრაფიაში*“, საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები. თბილისი.

ქართველოლოგი

2000 – 2014 *ქართველოლოგი*. ორენოვანი სამეცნიერო ელექტრონული ჟურნალი. თბილისი.

ჩიქობავა ა., ვათეიშვილი ჯ.

1983 პირველი ქართული ნაბეჭდი გამოცემები (სამენოვანი). თბილისი.

წერეთელი ა.

2012 *ჩემი თავგადასავალი* (ინგლისურად თარგმნა დონალდ რეიფილდმა). თბილისი.

ხინთიბიძე ე.

2003 *ქართული ლიტერატურა ევროპულ მეცნიერებაში (ინგლისურად)*. თბილისი.

ჯორბენაძე ბ.

1991 *ქართველური ენები და დიალექტები (ინგლისურად)*. თბილისი.

Chiladze O.

2012 *A Man Was Going Down the Road* (translated by Donald Rayfield).
London.

Chiladze O.

2014 *Avelum* (translated by Donald Rayfield). London.

Shevardnadze E.

1999 *Great Silk Route* (translated by A. Tchanturia). Tbilisi.